დამტკიცებულია:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილებით #46; 04.11.2020 წ. ოქმი #7
საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი მ. ბერიძე

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის წესი

მუხლი 1. წესის გამოყენების სფერო

1. წინამდებარე წესით რეგულირდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების (შემდეგში- პროგრამა) მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

მუხლი 2. ვერიფიკაციის არსი და მიზანი

1. ვერიფიკაცია არის უნივერსიტეტში გამოყენებული შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, **ანუ შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.**
ვერიფიკაცია გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
2. ვერიფიკაციის პროცეს უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (პროფესიული განათლების მიმართულებით).
3. ვერიფიკაციის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (პროფესიული განათლების მიმართულებით) განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგს და ვერიფიკატორს/ვერიფიკაციის ჯგუფს, რომელშიც უნდა შედიოდეს: პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი (ხარისხი), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი, ვერიფიკატორი (განათლება), ვერიფიკატორი (დარგი) (იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება). ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, პროფესიული სტუდენტი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან ან სხვა პირი.
4. ვერიფიკატორის/ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობისას უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი. პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში, ვერ მიიღებს

მონაწილეობას ამ კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესში.

მუხლი 3. ვერიფიკაციის მექანიზმი და განხორციელების ეტაპები

1. ვერიფიკაცია უნდა წარიმართოს უნივერსიტეტის მიერ შექმნილი წესის შესაბამისად, რომელიც სტანდარტის ყველა გამოწვევას უპასუხებს.
2. შედეგის სწორი ანალიზი არის შეფასების პროცესისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის, დაგეგმვის, შედეგის გაუმჯობესებისა და ცდომილების მინიმუმამდე დაყვანის გარანტი.
3. ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ეტაპებად:

ა) ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა

ბ) გეგმის შემუშავება (გეგმის ნიმუში, დანართი 3)

გ) რისკების განსაზღვრა

დ) ვერიფიკაციის განხორციელება

ე) შედეგის ანალიზი

ვ) უკუკავშირი - დაგეგმვა

4. ვერიფიკაციის ძირითადი მიმართულებებია:

ა) შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

მუხლი 4. რისკების სისტემა

1. ვერიფიკაციის განხორვიელებისას ყველა ინსტრუმენტის და პროცესის შემოწმება უნდა მოხდეს შერჩევითი პრინციპით. უნივერსიტეტს შემუშავებული უნდა ჰქონდეს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს.
2. უნივერსიტეტი შეიმუშავებს რისკების რეესტრს, რაც დაეხმარება პროცესების მართვა/შეფასებაში. რისკების რეესტრში შესაძლოა აისახოს:

ა) გარემოებები;

ბ) შესაძლო რისკები;

გ) კოეფიციენტები (დანართი 1)

3. გარემოებები შესაძლოა დაიყოს და მიენიჭოს შედარებით დაბალი, საშუალო, მაღალი და კრიტიკული კოეფიციენტები.
4. უნივერსიტეტი პირველ ეტაპზე ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების ჭრილში, შემდგომი ეტაპი კი შესაძლოა, მოიცავდეს დაბალ/საშუალო რისკებს.
5. რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა. რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს:

ა)დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;

ბ) სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);

გ) პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;

დ) ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;

საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება;
ე) წინა ვერიფიკაციის დროს უარყოფითი შედეგები;
ვ) გასაჩივრებული შეფასების შედეგი და სხვ.

მუხლი 5. ვერიფიკაციის დასკვნითი პროცედურა

1. ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის პროცესი იწყება ვერიფიკაციის გეგმის შედგენით, შემდეგი საფეხურია ვერიფიკატორების შერჩევა ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი.
2. შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა;
ბ) შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება;
გ) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა;
დ) ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა;
ე) ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
ვ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
ზ)მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება;
თ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
ი) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება.
3. შეფასების პროცესის შემოწმება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
ბ) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;
გ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
დ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
ე) შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება;
ვ) შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება;
ზ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
თ) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით.
4. ვერიფიკაციის დასკვნითი ეტაპი მოიცავს:
ა) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის (დანართი 2) შედგენა;
ბ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემობებზე;
გ) შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში);
დ)ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა.
5. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის.
6. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს (საჭიროების შემთხვევაში) ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (პროფესიული განათლების მიმართულებით).

დანართი 1

ვერიფიკაციის დასკვნა

მოდული/სწავლის შედეგი ----------

შემფასებელი ----------

შეფასების პერიოდი ----------

ვერიფიკატორი ----------

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი ----------

სისტემის ნაწილი	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ/ არა	მტკიცებულება არას შემთხვევაში	რეკომენდაცია
ვალიდურობა					
შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.					
შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			
სანდოობა					
შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.					
შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება			
	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			
	მტკიცებულებათა	მტკიცებულება საკმარისია,			

	შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო			
გამჭვირვალეობა					
შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.					
შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიურება, სხვა მტკიცებულება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			

	შეფასებული პირის ინტერვიურება	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			
სამართლიანობა					
შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.					
შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა			
	შეფასებული პირის ინტერვიურებაშე ფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით			

	(შესაძლებლობის შემთხვევაში).				
ობიექტურობა					
შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.					
შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			
		სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			

დანართი 2

რისკების რეესტრი		
გარემოება	შესაძლო რისკი	კოეფიციენტი
დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი	პროფესიული განათლების პრინციპის ცოდნა	დაბალი 1 ქულა
	მოდულის (მოდულზე მუშაობა)/მომზადების პროგრამის/გადამზადების პროგრამის შესაბამისად სწავლის შედეგების წაკითხვა	დაბალი 1 ქულა
	არასაკმარისი ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების, მსმენელების შეფასების შესახებ	მაღალი - 3 ქულა
პრაქტიკული დავალებები	პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;	საშუალო რისკი - 2
სწავლის შედეგების შეფასება	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;	დაბალი - 1 ქულა
საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება	ცვლილებების ადეკვატურად ასახვა პროგრამასა და შეფასებაში	მაღალი - 3 ქულა

გასაჩივრებული შეფასების შედეგი	პროცედურების დარღვევით ჩატრებული შეფასება	მაღალი - 3 ქულა
წინა ვერიფიკაციის დროს უარყოფითი შედეგები	განმეორებული შეცდომები	მაღალი - 3 ქულა
გამოცდილი პროფესიული განათლების მასწავლებლის შემოწმება	შეუმოწმებლობის გამო მოვალეობის არასათანადოდ შესრულება	საშუალო - 2 ქულა

დანართი 3

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება შემდეგი გეგმის მიხედვით, რომელშიც გაწერილია პროცესზე პასუხისმგებელი, პროცესში მონაწილე და პროცესის შესახებ ინფორმაციის გასაზიარებელი პირები:

- ეტაპზე პასუხისმგებელი
- მონაწილე
- ინფორმირება
-

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი პირი/	ხარისხის უზრუველყოფა	ვერიფიკატორი (განათლება)	ვერიფიკატორი (დარგი)	ინსტრ. შემდგენელი პროფ. მასწავლებელი	შემფასებელი, მასწავლებელი	სტუდენტი	სასწავლო პროცესის მართვა და სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი	დეპარტამენტის უფროსი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა	●							
სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა	●							
ვერიფიკატორების შერჩევა	●	●						
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი	●	●						
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება	●	●						
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა	●							
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა	●	●		●				
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით	●		●	●				
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება	●	●			●		●	

მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება	•	•			•		•	
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება	•		•		•			
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება	•		•					
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება	•	•			•		•	
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად	•	•				•	•	
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება	•		•	•				
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება	•		•	•				
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება			•	•				
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება	•		•	•				
შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება	•		•		•	•		
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით	•		•		•			
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა		•	•					
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემობებზე	•							
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)	•							
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა	•	•	•	•	•		•	
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)	•			•	•		•	•
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)	•						•	
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში	•	•	•	•	•	•	•	•

შეტანილია ცვლილება:

1. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 ივნისის დადგენილება N22 (ოქმი N5)
2. აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის დადგენილება N502794 (ოქმი N4)